დღეს ნომერში

ჩვენი სპორტის საჭირბოროტო საკითხები — მე-2 გვ.

კონგრესმენებმა ბჭობა დაამთავრეს — მე-3 გვ.

„ივერიამ" გაიმარჯვა — მე-4 გვ.

გუშინწინ ქუთაისში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული მატჩი: ადგილობრივმა „ტორპედომ" მინსკის „დინამოს" უმასპინძლა.

* * *

სურათზე: თამაშის მომენტი. მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

●

(ამ მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 199 (5489)

1975 წ. 7 ოქტომბერი სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

რეკორდები

ვარნა, 5 ოქტომბერი. ქვემსუბუქი წონის ბულგარელმა ძალოსანმა, 22 წლის გ. ტოდოროვმა, რომელმაც ამას წინათ მოსკოვში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატში გამარჯვება იზეიმა, ბულგარეთის ამ ქალაქის ფიცარნაგზე გამართულ ტურნირში მსოფლიო რეკორდი დაამყარა იტაცში — 128 კგ. ძველი მსოფლიო რეკორდი ასევე ბულგარელ ათლეტს ნ. ნურიკიანს ეკუთვნოდა და ნახევარი კილოგრამით მსუბუქი იყო.



პრიზიორებმა ოლიმპიადის საგზურები მიიღეს

კალი, 4 ოქტომბერი. კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩებს არსებითად არაფერი შეუცვლია სატურნირო ცხრილში.

იაპონელებმა საკმაოდ ადვილად სძლიეს მასპინძლებს. ამ მატჩში ყველაფერი შესვენებამდე გადაწყდა: იაპონიის ნაკრებმა პირველი ტაიმი 31 ქულით მოიგო (59:28).

შესვენების შემდეგ კოლუმბიელებს წინ აღუდგა იაპონელთა დუბლშემადგენლობა. ამან ბრძოლა ერთგვარად გაათანაბრა, მაგრამ პირველ ოც წუთში მოპოვებული უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ანგარიშში სხვაობას არაფერი დასტყობია. ამომავალი მზის ქვეყნის კალათბურთელებმა გაიმარჯვეს (97:65) და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გუნდმა ბოლო ორ ტურში 2 ქულა აიღო: გუშინ საკმაოდ მწვავე ბრძოლაში კოლუმბიის ნაკრებს მოუგო — 61:55 (38:33), დღეს კი მექსიკელები დაამარცხა — 71:52 (37:22).

სსრ კავშირის კალათბურთელებმა ბოლო შეხვედრა ჩემპიონთა რანგში ჩაატარეს და იტალიელ სპორტსმენებს სძლიეს — 85:49 (43:29). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ნ. შუვაევა — 24 ქულა. იტალიის გუნდში ამ მხრივ თავი გამოიჩინა მ. ბიანკასტელიმ — 19 ქულა.

რა შეიძლება ითქვას ტურნირის შედეგებზე? მსოფლიო ჩემპიონის წოდება ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც, ისევე როგორც წინა წლებში, მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. საბჭოთა ქვეყნის ღირსებას იცავდნენ: უ. სემიონოვა, ტ. ოვეჩკინა, ნ. ფერიაბნიკოვა, ა. ოვჩინიკოვა, ნ. კლიმოვა, ტ. ზახაროვა, თ. სუხარნოვა, ა. რუპშენე, ნ. შუვაევა, ო. ბარიშევა, რ. კურვიაკოვა, ნ. ზახაროვა (მწვრთნელები ლ. ალექსეევა და ვ. ქელდინი).

კოლუმბიის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა იყო იაპონიის გუნდი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ამ ქვეყნის სპორტსმენმა ქალებმა კალათბურთის ისტორიაში პირველად მიიღეს ვერცხლის მედლები, არამედ ისიც, რომ იაპონელებმა საოცრად მაღალტექნიკურად ითამაშეს. ამ გუნდს ჯერ კიდევ არ ჰყავს თანამედროვე ტიპის ცენტრალური მოთამაშეები, მაგრამ სიმაღლის კომპენსაციას იგი სისწრაფისა და ტექნიკის ხარჯზე ახერხებს. როგორც ჩანს, იაპონიამ სერიოზულად მოკიდა ხელი კალათბურთს და საფიქრებელია, რომ პირველ ოლიმპიურ ტურნირში კიდევ რაიმე სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების III ადგილი კანონზომიერია, თუ გავითვალისწინებთ ამ გუნდის გამოცდილებას. მან განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა ფინალურ ტურნირში (4 ქულა). სწორედ ძლიერმა ფინიშმა მისცა ამ გუნდს საპრიზო ადგილზე გასვლის საშუალება.

სსრ კავშირის, იაპონიისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა ამ წარმატებით მონრეალის ოლიმპიური ტურნირის საგზურები მიიღეს.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	6	6	0	509—317	6
იაპონია	6	5	1	461—389	5
ჩეხოსლოვაკია	6	4	2	382—330	4
იტალია	6	3	3	344—368	3
სამხრეთ კორეა	6	2	4	433—459	2
მექსიკა	6	1	5	349—420	1
კოლუმბია	6	0	6	341—536	0

მსოფლიო ჩემპიონატში ჯგუფური და ფინალური ტურნირების გათვალისწინებით თითოეულმა კოლექტივმა 8 შეხვედრა ჩაატარა. აი, როგორია ფინალისტთა შედეგები:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	8	8	0	733—432	8
იაპონია	8	6	2	593—522	6
ჩეხოსლოვაკია	8	6	2	510—437	6
იტალია	8	5	3	490—434	5
სამხრეთ კორეა	8	4	4	613—554	4
მექსიკა	8	3	5	479—525	3
კოლუმბია	6	0	6	341—536	0

ტურნირის მასპინძლები წინასწარი შეხვედრებისგან თავისუფალი იყვნენ, ამიტომაც ბქვთ მათ ნაკლები შეხვედრა ჩატარებული.

„ლელოს" მიმომხილველი.

გუშინ

კიევში გაიმართა უეფა-ს სუპერთასის გათამაშების მეორე, საპასუხო მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი — ადგილობრივი „დინამო" და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — მიუნჰენის „ბაიერნი" (გფრ).

როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა მიუნჰენში კიევის ფეხბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

პირველ 15 წუთს თანაბარი ბრძოლის შემდეგ კიეველებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და მწვავედ შეუტიეს „ბაიერნის" კარს. მასპინძლებმა (ბლოხინი, ონიშჩენკო) ვერ გამოიყენეს აშკარა საგოლე მომენტები. და მაინც, მე-40 წუთზე ბლოხინმა ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა ბლოხინმა მეორედ აიღო დასავლეთგერმანელი ფეხბურთელების კარი.

„ბაიერნი" ხანგრძლივ იერიშზე გადავიდა, მაგრამ ამაოდ. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა კიევის „დინამომ".

ორი ლიდერი

პროფკავშირების ქალთა საკავშირო ჩემპიონატის XI ტურში ლ. კულიკოვა — რ. პოპივოდას შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ლ. ზაიცევამ დაამარცხა ლ. შავკუნოვა, ტ. ვორონოვამ — ტ. გოლოვეი, ე. ბელოვამ — ა. აკოფიანი. ოთხი პარტია გადაიდო.

XII ტურში ნ. იოსელიანმა სძლია ს. იგნატჩენკოს, რ. გეგიძემ — შავკუნოვას, ზაიცევამ — ბელოვას, კულიკოვამ — გოლოვეის. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

კვირას, გადადებული პარტიების დამთავრებისას, იოსელიანს თამაშის განუახლებლად დანებდა ვ. კაუშილაიტე. ც. კახაბრიშვილმა მოუგო ვ. დონჩენკოს და გ. გუმილევსკაიას ყაიმზე შეუთანხმდა. რ. პოპივოდამ აჯობა აკოფიანს. გეგიძე — დონჩენკო და ლ. მულენკო — რ. იგნატჩენკო ყაიმზე შეთანხმდნენ.

12 ტურის შემდეგ 9-9 ქულით I-II ადგილებზე არიან ნ. იოსელიანი (თბილისი, „განთიადი") და ლ. კულიკოვა (დნეპროპეტროვსკი, „ავანგარდი"). 8-8 ქულით III-VI ადგილებს იყოფენ ც. კახაბრიშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი"), რ. პოპივოდა (მოსკოვი, „ბურევესტნიკი"), ლ. ზაიცევა და ტ. ვორონოვა (ორივე — მოსკოვი, „ტრუდი").

ო. ალხანიშვილი.

მხოლოდ გულკო

კიშინიოვში, სსრ კავშირის ვაჟთა 43-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირის II ტურის წინ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა გ. გოლდბერგმა (მოსკოვი) უმაღლესი სპორტული თანრიგები მიულოცა: დიდოსტატისა — ვ. ცეშკოვსკის (ომსკი), საერთაშორისო ოსტატისა ბ. გულკოსა და ვ. ჩეხოვს (ორივე — მოსკოვი). მაგრამ 3 ტურის შემდეგ ცეშკოვსკის ორი წაგება და ერთი ყაიმი აქვს, ჩეხოვს — ორი წაგება და ერთი მოგება. სამაგიეროდ, გულკო ლიდერებშია.

2,5-2,5 ქულა აქვთ გულკოს, ე. ვასიუკოვს (მოსკოვი) და ნ. რაშკოვსკის (კურგანი). გულკომ სძლია ცეშკოვსკის და ა. პანჩენკოს (ჩელიაბინსკი).

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან ე. გუფელდი (თბილისი), დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), მ. პოდგაეცი (ოდესა), ი. კლოვანი (რიგა) და მ. დორფმანი (ჟიტომირი).

უარეს პოზიციაში

ფრუნზე, 6 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 35-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალში გუშინწინ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

ლენინგრადის ჩემპიონი ლ. კრისტოლი თამაშის განუახლებლად დანებდა მ. ჩიბურდანიძეს (თბილისი), მეორე გადადებული პარტია კი მაიამ ოსტატ ლ. ზელავენეცთან (მოსკოვი) ყაიმით დაამთავრა.

2 ქულა ჩაიწერა ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) — მან მოუგო თ. ბელოვასა (ფსკოვი) და მ. რანიკუს (ტალინი). მ. ლისინსკაიამ (ლვოვი) სძლია ნ. მედიანიკოვას და წააგო ტ. ზატულოვსკაიასთან (ორივე — მოსკოვი). მედიანიკოვამ დაამარცხა ბელოვა, ზელავენეცმა — ნ. ტიტორენკო (მოსკოვი), ა. გრინფელდმა (კალინინგრადი) — ტ. ფომინა (ტალინი). ყაიმით დამთავრდა ე. ფატალიბეკოვა (მოსკოვი) — გრინფელდის შეხვედრა.

III ტურში მესამედ დამარცხდა რანიკუ, ამჯერად — მედიანიკოვასთან. პირველი მარცხი იწვნიეს: კოზლოვსკაიამ — ფომინასთან შეხვედრაში, ლ. შჩერბინამ (სევასტოპოლი) — გრინფელდთან. ყაიმზე შეთანხმდნენ კრისტოლი — ბ. სამაგანოვა (ფრუნზე).

დანარჩენი პარტიები გადაიდო. მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) შეხვდა ოსტატ ე. ახმილოვსკაიას (კრასნოიარსკი). სიცილიურ დაცვაში თამაში დაძაბული იყო, მაგრამ პარტიის გადადების წინ ახმილოვსკაიამ საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა.

სიცილიური დაცვით დაიწყო ნ. გურიელი (თბილისი) — ფატალიბეკოვას შეხვედრაც. პოზიციურ ბრძოლაში გურიელმა პაიკი დაკარგა, მაგრამ ცაიტნოტში შეძლო კონტრთამაშის ძიება. ახლა ეტლების ენდშპილში გურიელს ყაიმის შანსი აქვს.

3 ტურის შემდეგ ა. გრინფელდს 2,5 ქულა აქვს, ვ. კოზლოვსკაიას, ნ. მედიანიკოვას, ლ. შჩერბინასა და ტ. ფომინას — 2-2, მ. ჩიბურდანიძეს — 1,5 (1).

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

დაწინაურდა პოლუგაევსკი

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი, რომელსაც 3 ქულა აქვს. IV ტურში მან ნორვეგიელი ლ. ოგაარდი დაამარცხა.

II ადგილზეა დიდოსტატი ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 2,5 ქულა. ფილიპინელებმა ე. ტორემ, რ. ბალინასმა, ბრაზილიელმა ე.-კ. მეკინგმა და გფრ-ის წარმომადგენელმა ჰ. ჰფლეგერმა 2-2 ქულა მოაგროვეს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

დანიშვნები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ **მ. ამილახვარი** დანიშნა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის უფროს მწვრთნელად ცურვაში, ხოლო **ნ. თვაური** — საქართველოს მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

დაჯილდოება

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 70 წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ქართული კალათბურთის ერთ-ერთი პიონერი **მ. ცხვედაძე** დაჯილდოებულია საქართველოს სპორტკომიტეტის **საპატიო სიგელით.**

გამოიწერეთ
ლელო
1976 წლისთვის

ხელმოწერის ფასი: 1 წლით — 7 მან. 80 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 1 თვით — 65 კაპ.
ხელმოწერა შეუზღუდავია.

ყველა გზა სპარტაკიადისკენ მიდის

სპორტმა ისეთი თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, უიმისოდ წარმოუდგენელია თვით საზოგადოებრიობის სასიკეთო მცდელობა, წინსვლა, პროგრესი. შესაძლოა ეს აზრი მაღალფარდოვნად, გაზვიადებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ თუკი საქმეს გულდაგულ ჩავუკვირდებით და გავაანალიზებთ, სხვაგვარ დასკვნას ვერ გამოვიტანთ.

კარგა ხანია წავიდა ის დრო, როცა სპორტული მოძრაობის ფუნქცია შეზღუდული იყო. დღესდღეობით ამ დარგის თვალსაწიერი ჭეშმარიტად უსაზღვროა. სპორტს განსაკუთრებული პროპაგანდა აღარ სჭირდება, მან ისედაც მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვა თითქმის ყოველი ადამიანის ცნობიერებაში.

ბევრისთვის სპორტზე უკეთესი სანახაობა და გასართობი არ არსებობს. კიდევ უფრო მეტს სხვა მიზანიც აქვს: დაუმეგობრდეს სპორტს, შეისისხლხორცოს და შეიტკბოს მისი მადლი, რათა ებრძოლოს ნაადრევ სიბერეს, იპოვოს ახალგაზრდობის ელექსირი და საბოლოო ჯამში იყოს არა მარტო სულითა და ხორცით ლამაზი ადამიანი, არამედ საზოგადოების თანამედროვე წევრი. თანამედროვეს იმიტომ ვამბობთ, რომ უსპორტოდ (ამაში მხოლოდ სპორტში აქტიური მონაწილეობა არ იგულისხმება) ადამიანი თითქოს სრულფასოვანი არ არის, არ გამოირჩევა ხასიათის დინამიზმით, გონებამახვილობით, გამჭრიახობით, ჭეშმარიტი მიზანსწრაფვით, ესე იგი მეტწილად კარგავს იმ თვისებებს, რომლებიც სპორტთან აქტიური ურთიერთდამოკიდებულებით უნდა განევითარებინა.

დიახ, სპორტს ასეთი დანიშნულებაც აქვს. იგი საუცხოო აღმზრდელია, ძალუძს ადამიანს მოჰგვაროს ცხოვრების ხალისი, ოპტიმიზმი, რწმენა საკუთარი ძალისა. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო წლებში სპორტს აქტიურად მისდევენ ჩვენი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის საუკეთესო, ყველაზე შეგნებული წარმომადგენლები. მათი ასაკი კარგა ხანია გადასცდა იმ ზღვარს, როცა რეკორდებსა და ოქროს მედლებს ელიან. თანაც, ამ ადამიანებს იშვიათად ეუბნება ვინმე, ამა და ამ სექციაში ჩაეწერეთ და ივარჯიშეთო. საბედნიეროდ, ისინი თვით მიდიან დასკვნამდე, რომ, თუ სპორტთან უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა არ ექნათ, შესუსტდება მათი სამოღვაწეო ენერგია, დაიშრიტება ჯანსაღი ფანტაზიის წყარო, ხოლო თავად ისინი იქცევიან უკეთეს შემთხვევაში აკადემიურ მუშაკებად ამ სიტყვის ნეგატიური გაგებით.

როგორ გგონიათ, ახალ ფიზკულტურულ კომპლექსს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" სხვა მიზანი აქვს, თუ არა ის, რაზედაც ეს-ესაა ვსაუბრობდით? დიახ, ეს არის სწორედ მშდ-ს უპირველესი ამოცანა და მისწრაფება — ჩააყენოს ფიზკულტურა და სპორტი თითოეული ადამიანის სამსახურში, რათა მან, ადამიანმა, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობანი თავისი თავის, ოჯახის, თავისი პროფესიისა და საბოლოო ჯამში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ფიზიკურად უილაჯო მექანიზატორი დიდხანს ვერ მართავს მანქანის საჭეს, წელში მოხრილი სწავლული მთლიანად ვერ გამოავლენს თავის ნიჭსა და უნარს, სუსტი აღნაგობის მოსწავლე ან სტუდენტი ისე ხარბად ვერ დაეწაფება ცოდნის წყაროს...

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გაცვეთილზე გაცვეთილი ჭეშმარიტებების მტკიცება გვიხდება, იგი, ეს ჭეშმარიტება, მუდამ როდი იკაფავს გზას. სხვანაირად რით უნდა აიხსნას, რომ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვა-განვითარების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა საბჭოთა ქვეყანაში? ჩვენ აღფრთოვანებით მივესალმეთ კომპლექსის პირველ ნაბიჯებს, ლამის ხალეგრძელობით დავულოცეთ გზა მოსახლეობის უფართოესი მასებისკენ. გამოხდა ხანი და იგი, კომპლექსი, ბევრისთვის თითქმის უსიამო მოვლენად იქცა.

ჩვენდა სამწუხაროდ, გამოჩნდნენ „მოხერხებული" ფიზკულტურული მოღვაწეები, რომლებმაც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაშიც იმავე მავნე პრაქტიკას მიმართეს, რაც შეიმჩნეოდა ახლო წარსულში ჩვენი ცხოვრების ბევრ სფეროში. ვინ იცის, რამდენმა ფიქციურმა ფიზკულტურელმა დაიკიდა მკერდზე მშდ-ს ნიშანი, ისე, რომ არ დაუმსახურებია. იყო შემთხვევები, როცა ჩვეულებრივი ექსკურსიები ბუნების წიაღში მშდ-ს ჩაბარების საშუალებად იქცეოდა. გავა ამა თუ იმ ადგილზე ჯგუფი, ექსკურსანტები პატარა ხნით დაჭერობანას ითამაშებენ და შინ მობრუნებულნი უკვე მშდ-ს სამკერდე ნიშანს ფლობენ.

კიდევ ერთი უსიხარულო ფაქტი: როგორც ცნობილია, ჩვენი ფიზკულტურული და სპორტული მოღვაწეების სამარცხვინოდ, თბილისის მოსწავლეთა მილიონიანი არმიის 90 პროცენტმა საერთოდ არ იცის ცურვა. რას ნიშნავს ეს? ჩვენს დროში კაცმა ცურვა რომ არ იცის, ეს არა მარტო სავალალოა, არამედ ჭეშმარიტად საოცარიც. ეს საკითხის ერთი მხარეა. ახლა კითხვა სხვანაირად დავსვათ: საინტერესოა, ზევრიც რომ მოვინდომოთ, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სანიმუშოდაც რომ წარვმართოთ, როგორ გახდება ცურვის უცოდინარი ადამიანი ნიშნოსანი?

აი, ასეა გადაჭაჭვული ერთმანეთთან უდარდელობა, გულგრილობა, არცოდნა, ორგანიზაციული უმწეობა, დანაშაულებრივი დამოკიდებულება დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმესთან. ყოველივე ამის შემდეგ სულაც არ უნდა გვიკვირდეს, რომ მავანი და მავანი მოღვაწეების წყალობით მშდ კომპლექსი ფაქტიურად ფორმალურ ღონისძიებად იქცა, რომელსაც ვერა და ვერ გამოუჩნდა ნამდვილი პატრონი. ვინ დაუშვა მშდ-ს დროშები, რატომ არ ფრიალებენ ისინი ლაღად და ამაყად, ვინ წაუყრუა მოძრაობას, რომელიც მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების გასავითარებლად?

რატომ არ ვუწევთ ანგარიშს იმას, რომ ნორმატივების ფორმალურ ჩაბარებას [illegible] სპორტულ ზარალთან ერთად დიდი მორალურ-ფსიქოლოგიური ზიანიც მოაქვს? რატომ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ თაღლითი ორგანიზატორებისა და ინსტრუქტორების წყალობით ათასობით ნორჩი და მოწიფული ადამიანი კვლავ ავადდება ნეგატიური წარსულისთვის დამახასიათებელი ბაცილებით? წარმოგიდგენიათ, რა დამღუპველად შეიძლება იმოქმედოს სპორტულმა თვალისახვევამ განსაკუთრებით მოზარდი, ჩამოუყალიბებელი ადამიანის ფსიქოლოგიაზე? საბოლოოდ აი, რა გამოდის: თურმე კომპლექსს ზიანის მოტანაც კი შეუძლია, თუკი იგი უპასუხისმგებლო ხალხის ხელში ჩავარდება. შორს ჩვენგან ასეთი ვაი-მიღწევები! ბევრი, ძალიან ბევრი დაკარგეს ამის გამო არა მარტო ფიზკულტურამ და სპორტმა, არამედ ჩვენმა შვილებმა და თავად ჩვენ. რა აანაზღაურებს ამ დანაკლისს, რა გააცხოველებს და აალორძინებს ჩვენში ხელახლა ფიზკულტურულ კომპლექსს? აი, კითხვა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს უნდა აწუხებდეს.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც კარგა ხანია გარშემო ვუვლით, მაგრამ მიახლოვებით ვერა და ვერ მივუახლოვდით: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში სპორტიც თავისებურად ვითარდება, ფეხს უწყობს თანამედროვეობის აქტიურ მოთხოვნებს. წავიდა ის დრო, როცა სპორტს მეცნიერებასთან სუსტი კავშირი ჰქონდა. ახლა ეს ორი სფერო სისხლხორცეულადაა გადაჭაჭვული ერთმანეთთან. მათ ვერ დააშორებ და, თუკი დააშორებ, მაშინ ისეთი სურათი წარმოგიდგებათ, როგორსაც დღეს ჩვენი სპორტი წარმოადგენს.

ჭიდაობის ისეთი კლასიკური ქვეყანა, როგორიც საქართველოა, თავისი ტრადიციების კვალობაზე დღესდღეობით უმნიშვნელო როლს სჯერდება საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. რა კუთხით არ მივუდექით ამ პრობლემას, როგორ არ გამოვიკვლიეთ იგი, რა მიზეზები არ დავადგინეთ და მთავარს მაინც ვერ მივაგენით. ქართულმა ჭიდაობამ გარკვეული ხნის განმავლობაში ზურგი აქცია მეცნიერების უახლეს მიღწევებს, არ გაიზიარა ისინი, დაადგა ემპირიზმის გზას, რომელმაც ლამის კატასტროფამდე მიგვიყვანა. როცა მეცნიერებისა და ჭიდაობის ურთიერთკავშირზე ლაპარაკობენ, ჩვენი მწვრთნელების საკმაო ნაწილს ირონიულად ეღიმება. ისინი გეტყვიან, რომ კარტოზიას, ბალავაძეს, რუბაშვილს და სხვა სახელოვან ფალავნებს არ სჭირდებოდათ მეცნიერების დახმარება. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ სულ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ ჩვენი მეტოქეები ასე არ ფიქრობენ, მეცნიერებასთან მეგობრობენ და, ბუნებრივია, გვისწრებენ, გვჯობნიან.

ჭიდაობაზე ასე ხაზგასმით არ შევჩერდებოდით, მასში ჩვენი სპორტის საერთო სურათი სარკესავით რომ არ ირეკლებოდეს. გაგიგონიათ, ოდესმე რომელიმე ჩვენს მწვრთნელს განეცხადებინოს, ჩემს აღსაზრდელს სწავლულები, სამეცნიერო ცენტრები დახმარებას უწევენო? ეს ზედმეტად არის მიჩნეული და ამაშია ჩვენი სპორტის ჯერაც დაუძლეველი, შემზღუდავი, დამაბრკოლებელი წინაღობა. თავის მხრივ, თვალსაჩინო სამეცნიერო ორგანიზაციები, რომელთა პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენს შეფობა გაუწიონ სპორტულ სამყაროს, ინერტულობას იჩენენ.

თვლა არა აქვს ფიზკულტურულ-სპორტულ საკითხებზე შექმნილ სამეცნიერო შრომებსა და დისერტაციებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, მხოლოდ მათი მთხზველთათვის მოაქვს სიკეთე და კმაყოფილება. ცოტაა ისეთი ნაშრომები, რომელთაც ეფექტური პრაქტიკული შემწეობა გაეწიოთ სპორტის ამა თუ იმ სახეობისთვის. რა ფასი აქვს ასეთ ნაშრომებს? უკეთეს შემთხვევაში მათ ეცნობიან სტუდენტები და სპეციალისტების ვიწრო წრე, ცოტა ხნის შემდეგ კი მტვერი ედებათ არქივის თაროებზე. ასეთი, უკაცრაულო პასუხია, მტვერწაყრილი მეცნიერება ჩვენ არ გვჭირდება. იოლი გზით სიარული, ანუ ზოგადი სქელტანიანი ნაშრომების მოზღვავება, თუკი მათ უშუალო კავშირი არა აქვთ სპორტულ სამყაროსთან, ზიანის მეტს ვერაფერს მოგვიტანს, ვინაიდან სპორტული მეცნიერება ფორმალურად ვითარდება, სინამდვილეში კი იგი სქოლასტიკის ტყვეობაშია. მეცნიერებამ ამ მხრივ თავი უნდა დაიხსნას მოჯადოებული წრიდან. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ერთი და ორი დღის საქმე არ არის.

ფიზკულტურის ინსტიტუტმა, რომელსაც ნაწილობრივ ეხება ზემოხსენებული „ბრალდება", დაკარგა ძველებური ავტორიტეტი და რეპუტაცია. წლების განმავლობაში პრობლემა პრობლემას ემატებოდა, სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო მუშაობა სუსტდებოდა და უმაღლესი სასწავლებელი კუდში მისჩანჩალებდა ფიზკულტურასა და სპორტში მომხდარ უზარმაზარ ძვრებს. ეს უმაღლესი სასწავლებელი კარგა ხნის მანძილზე არ იყო თანამედროვე დაწესებულება ამ სიტყვის ფართო გაგებით. სამეცნიერო-სასწავლო რუტინამ, ორგანიზაციულმა უხერხემლობამ გააუფერულა ინსტიტუტის სანაქებო ტრადიციები. იგი უშვებდა ძველმოდურ პედაგოგებსა და მწვრთნელებს, რომლებიც მეტწილად დაბალი კვალიფიკაციის გამო ვერ უძღვებოდნენ სრულფასოვნად თავიანთ მოვალეობას. მათ ყველაფერთან ერთად აკლდათ ინტელიგენტობა. საშუალო მწვრთნელები საშუალოდ ასრულებდნენ მინდობილ საქმეს, ამის კვალობაზე გვიზრდიდნენ საშუალო სპორტსმენებს, რომლებმაც თვით ჩვენი სპორტის დონე აქციეს საშუალოდ. ეს ერთი ხანობაა, რაც ინსტიტუტში გამოცოცხლდა და გაჯანსაღდა ატმოსფერო, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. თვალსაჩინო შედეგი ამ სიახლეებს ჯერ არ გამოუღია, რადგანაც წლობით დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას ალბათ კიდევ საკმაო ხანი დასჭირდება. ჩვენს ინსტიტუტს კი პირველ ყოვლისა სჭირდება სწორედ გათანამედროვეობა, თანამედროვე მოთხოვნების დონემდე დაწინაურება, ახალი სიო, ურომლისოდაც ქართული სპორტი მძლავრი ნაბიჯებით ვერ გასწევს წინ — ფიზკულტურის ინსტიტუტი ხომ მისი ყველაზე დიდი ტაძარია. სწორედ აქედან უნდა აფრინდნენ ისინი, ვინც ახლებურად გაუძღვება წლევანდელ სპარტაკიადაში დამარცხებულ ჩვენს სპორტულ დელეგაციას.

საბედნიეროდ, ქართველ კაცს ყველაფერთან ერთად იმითაც მოსწონს თავი, რომ სულმოუთქმელად შეუძლია გადათვალოს ჩვენი ერის წიაღში დაბადებული მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები. მაგრამ დღეს ჩვენი სახელოვანი ვეტერანების ცოდნა და უნარი მეტწილად წყალში იყრება. ამ უნარს კალაპოტი, ანუ გამოყენების გზა ვერ მოვუძებნეთ. სპორტსმენთა უმრავლესობა, ვისი ჭეშმარიტი მოწოდებაც სარბიელის დატოვების შემდეგ თითქოს არავითარ ეჭვს არ იწვევს, სათოფეზე აღარ ეკარება სპორტს. თითქოს ამ დარგს მათთვის სახელი და დიდება არ მოეტანოს, სოფელ-ქვეყნისთვის არ გაეცნოს ისინი.

რა არის ეს? უმადურობა, შეუგნებლობა, თუ იოლი ცხოვრების გზის არჩევა? პირდაპირ ენა არ გვიბრუნდება ეს ვთქვათ, მაგრამ მძიმე გულით მაინც ვამბობთ და, ვფიქრობთ, არც ვცდებით. ვეტერანები უნდა დაუბრუნდნენ სპორტს, დაუბრუნდნენ არა რომელიმე ხელმძღვანელის ბრძანებით, არამედ საკუთარი სურვილით, საკუთარი მოწოდებით, იმ დიდი პატრიოტული მოვალეობის შეგნებით, რომელსაც მათ აკისრებს ჩვენს სპორტში შექმნილი მძიმე მდგომარეობა.

უკვე სტადიონებზე და დარბაზებში მათი გამოჩენის ფაქტი კეთილისმყოფელად მოქმედებს ურიცხვ მომავალ სპორტსმენზე. ახლა წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდ ეფექტს გამოიღებდა მათი პრაქტიკული, ხელებდაკაპიწებული შრომა ქართული სპორტის საკეთილდღეოდ. ამის ნათელსაყოფად ლევან მოსეშვილის, იმედო ფხაკაძისა და სხვა ზოგიერთი ახალგაზრდა მწვრთნელის დასახელებაც კმარა.

რა თქმა უნდა, მწვრთნელობას განსაკუთრებული მონაცემები სჭირდება. ყველა გამოჩენილი სპორტსმენი ამ ტვირთს ვერ ზიდავს, მაგრამ მათს მნიშვნელოვან ნაწილს, ამჟამად სპორტისგან დაშორებული საქმით დაკავებულს, ძალუძს გარკვეული სარგებლობის მოტანა. თუ ამ მტკივნეულ პრობლემას საბოლოო, სრული ხორცშესხმა არ უწერია, მომავალში მაინც გავითვალისწინოთ ჩვენი სატკივარი და ნუ მიმოვფანტავთ ცნობილ სპორტსმენებს არადანიშნულებისამებრ თავიანთი კარიერის დამთავრების შემდეგ.

სპორტსმენს ცხოვრებაში ნებისმიერი გზა შეუძლია აირჩიოს, მაგრამ სპორტულ ცხოვრებას ყველა რომ ჩამოშორდება, ეს ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. საამისო ფაქტი კი, სამწუხაროდ, თავზე საყრელი გვაქვს.

ნებისმიერ ადამიანს დაუსვით კითხვა, თუ რომელი სპორტული ბაზა მიაჩნია მას ყველაზე თვალსაჩინოდ რესპუბლიკაში და პასუხი სტერეოტიპული იქნება — თბილისის „დინამოს" სტადიონი. ეს რამდენიმე წელია სახელგანთქმულ მშენებარე სტადიონს აღფრთოვანებისა და სინანულის შერეული გრძნობებით ჩავუვლით ხოლმე. აღფრთოვანებით რატომაც, ეს ნათელია. სინანულს კი ის იწვევს, რომ სტადიონის გაჭიანურებულმა მშენებლობამ არა მარტო მოგვაკლო დიდი ასპარეზობების ხილვის სიამოვნება, არამედ საკმაო ზარალი მიაყენა ჩვენი სპორტის განვითარებასაც. აქ ვარჯიშობდნენ ქართული სპორტის ვარსკვლავები სხვადასხვა სახეობაში, აქ სრულყოფდნენ ისინი თავიანთ ოსტატობას და მერე ჯიქურ უტევდნენ მსოფლიო მასშტაბის მწვერვალებს. რამდენიც ვეცადეთ, „დინამოს" სტადიონის მაგივრობა ვერც ერთ სხვა ბაზას სრულფასოვნად ვერ გავაწევინეთ და დავრჩით ასე, კლასიკური სტადიონის გარეშე, რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების მთავარი არტერიის გარეშე.

აი, რა სერიოზული ნაკლოვანებების წყარო გახდა ერთი სტადიონის დროებით გაუქმება. იმაზე რაღა ვთქვათ, რომ რესპუბლიკის მცირერიცხოვანი ბაზების მდგომარეობაც კი ხშირად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ანდა გამოუყენებელია, ახალი ბაზების მშენებლობა კი რიტორიკის სფეროდ რჩება?

საქმე წინ ვერ წავა, თუ ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების მსგავსად მსხვილი ქარხანა-ფაბრიკები და სხვა ორგანიზაციები ხელს არ მოჰკიდებენ თავიანთი სპორტული კომპლექსების აშენებას. ამ პრაქტიკამ სასურველი შედეგი გამოიღო მოძმე რესპუბლიკებში. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუკი გავიზიარებთ მათს გამოცდილებას. თქმა არ უნდა, ამ პრობლემას საფუძვლიანი მოფიქრება და გაანალიზება სჭირდება. მისი შედეგი კი იქნება მილიონთა ჯანმრთელობის გაკაჟება, ახალ სტადიონებსა და დარბაზებში ფიზკულტურითა და სპორტით გატაცებული ადამიანების მიზიდვა. ეს ოცნების სფერო არ არის, მაგრამ, ვთქვათ, ოცნებაც იყოს, ნოდარ დუმბაძის მახვილგონივრული გამოთქმით, „ოცნებას კაცი არ მოუკლავს".

როცა ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეზე ვლაპარაკობთ, ეს დარგი წარმოგვიდგება თავისებურ სასწავლო-აღმზრდელობით აუდიტორიად ღია ცის ქვეშ. სპორტს არ უყვარს მენტორული ტონი, მოზარდის აღზრდის თავისებური მძლავრი საშუალებანი მოეპოვება. სპორტი უპირველესი მტერია ქუჩის გავლენისა, უსაქმურობისა, უქმად ყოფნისა, სიზარმაცისა, ინერტულობისა და უპრინციპობისა, რომლებიც ერთად უბიძგებენ მოზარდს დანაშაულისა და ბოროტმოქმედებისკენ.

როგორც ხედავთ, სპორტი ძლევამოსილი სოციალური ინსტრუმენტია. იგი სკოლასთან და ოჯახთან ერთად ზრდის და აყალიბებს საზოგადოების სასარგებლო წევრს. ასეთია იგი იმთავიდან და ასეთად დარჩება მუდამ. მით უფრო საკვირველია, როცა საკმაოდ ბევრი მშობელი, თუმცაღა საუცხოოდ აქვს შეგნებული ეს ჭეშმარიტება, ყველანაირად უღობავს გზას სპორტისკენ საკუთარ შვილს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს, მეტი რომ არა ვთქვათ, ასეთ უსწორო თვალსაზრისს. ასეთი მშობლების გასაგონად გვინდა ვთქვათ, რომ ეჭვი გვეპარება მათს გულწრფელობაში, როცა სპარტაკიადის დღეებში ლამის გული მისდიოდათ ჩვენი სპორტსმენების წარუმატებლობათა გამო. თუ ქართულ სპორტს მძლავრი შენაკადები მოაკლდა, როგორ გნებავთ იგი უხვი იყოს, როგორ გნებავთ მასობრიობით გაუტოლდეს თავის ძირითად მეტოქეებს?

მართალი გითხრათ, როცა ამ წერილს ვწერდი, განზრახული მქონდა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა არ მეხსენებინა. არა იმიტომ, რომ მისი შედეგების ანალიზი საჭირო არ არის. უბრალოდ, ჩემი სურვილი იყო ზოგადად მეჩვენებინა, თუ რაოდენ დიდი სოციალური სტიქიონია ფიზკულტურისა და სპორტის სამყარო. მაგრამ მართალი ყოფილა ის, ვინც ცნობილი გამოთქმა თავისებურად გადააკეთა და თქვა: ყველა გზა სპარტაკიადისკენ მიდისო. მართლაც, ამ წერილში აღძრული საკითხები ისევ და ისევ სპარტაკიადას უკავშირდება, ოღონდ არა განვლილ, არამედ მომავალ სპარტაკიადას.

ა. გოგელია.

ყინულის მოედნებზე

4 ოქტომბერს გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი. ვოსკრესენსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ხიმიკი" და გორკის „ტორპედო". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 6:4 (2:3, 3:0, 1:1).

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა მოსკოვში გამართულ მატჩში: „კრილია სოვეტოვი" — „სპარტაკი". გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონის „კრილია სოვეტოვის" ჰოკეისტებმა — 4:2 (3:0, 0:2, 1:0).

საკდესი მოგვითხრობს



„ფარხადი" თავს უყრის გოლიათებს

ლეგენდარული გოლიათის ფარხადის სახელი დაერქვა სტადიონს, რომელიც ყარაყალპაყეთის დედაქალაქის ყიზკეტკენის არხის სანაპიროზე გაშენდა: ფარხადმა ხომ უდაბნოს მიწებს წყალი მოუვლინა! აქ გაჩნდა დიდი სპორტული კომპლექსი. მას აქვს ორი საფეხბურთო მინდორი, სათამაშო მოედნები და დარბაზები. სარბენ ბილიკებს და მძლეოსნურ სექტორებს რეზინ-ბითუმის საფარველი აქვთ. პირველად აშენებულ ტრიბუნაზე 8 ათასი ადგილია.

სტადიონი „სპარტაკის" შეკვეთითაა აგებული და ყველაზე დიდი ბაზაა ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ე. ტაუბენშლაგი.

ნუკუსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონატის ქრონიკა

4 და 5 ოქტომბერს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

„დინამო" (მოსკოვი) — „დნეპრი" 0:0.

„ტორპედო"—„ზენიტი" 2:0. ლენინგრადელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მატჩის ხსნა. 68-ე წუთზე ანგარიში გახსნა ბუტურლაკინმა, ხოლო შეხვედრის დასასრულს მაქსიმენკოვმა მეორე ბურთი გაგზავნა „ზენიტის" კარში.

„ჩერნომორეცი" — „ზარია" 1:0. მატჩის დამთავრებამდე სულ ცოტა ხანი იყო დარჩენილი, ანგარიში კი არ ჩანდა. ამ პატარა დროში ოდესელი საპოჟნიკოვის დარტყმამ მიზანს მიაღწია.

„კარპატი" — „შახტიორი" 0:0.

ასკ — „ფახთაქორი" 3:1.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	24	15	7	2	44—20	37
„შახტიორი"	24	11	7	6	34—21	29
„ტორპედო"	25	11	7	7	39—28	29
„დინამო" მ.	25	9	11	5	27—21	29
„დნეპრი"	25	10	8	7	31—26	28
„ზარია"	25	9	9	7	30—29	27
„კარპატი"	25	8	10	7	32—26	26
„არარატი"	24	11	4	9	33—32	26
„სპარტაკი"	24	8	8	8	25—25	24
ცსკა	24	6	10	8	26—28	22
„დინამო" თბ.	24	8	6	10	26—29	22
„ჩერნომორ."	25	8	6	11	23—30	22
„ლოკომოტ."	25	5	11	9	24—28	21
„ფახთაქორი"	25	7	5	13	25—40	19
„ზენიტი"	25	6	7	12	23—38	19
ასკ	25	4	6	15	21—42	14

თასი ყაზახეთში წავიდა

ჰავლოდარ...

ჯამბულ...

ქამენსკ-შახტინსკი, 5 ოქტომბერი. აქ გაიმართა ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტკლუბების საკავშირო თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თემირთაუს „ბულატი" (ყაზახეთი) და რამენსკოეს „სატურნი" (მოსკოვის ოლქი). დაძაბული ბრძოლა თემირთაუელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

ამრიგად, თასი ყაზახეთში წაიღეს. ამ საპატიო პრიზისთვის წლეულს 60 ათასზე მეტმა გუნდმა იასპარეზა.

დამსახურებული, ღირსეული გამარჯვება

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი. 5 ოქტომბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (მინსკი) 2:0 (1:0).

„ტორპედო": გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, ქვირია, ოქროპირაშვილი (ჩახუნაშვილი), ფარულავა (ფესტვენიძე), შენგელია, ხერხაძე (ბურკაძე), შელია.

„დინამო": ვერგეენკო, ბოროვსკი, შვეცოვი, გრებნევი, ვორონინი, პროკოპენკო, ბაიდაჩნი, ტიმოფეევი, ბოგოვიკი, კურნევი (ვასილევსკი), გრიგორიევი.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეხვედრას არა მარტო ამ უშუალო მეტოქეების, არამედ, საერთოდ, უმაღლეს ლიგაში გადასვლის პრეტენდენტთა მოზრდილი ჯგუფისთვის, ზედმეტია. ახლა, როცა დასასრულს უახლოვდება I ლიგის ხანგრძლივი გათამაშება და უნდა გამოვლინდეს ორი საუკეთესო, რომლებიც გაისად ზევით გადაინაცვლებენ, თითოეული ქულა ძალიან ძვირად ფასობს.

ინტერესი მატჩისადმი დიდი იყო და, უნდა ითქვას, მან გაამართლა მოლოდინი, რისი მოწმენიც გახდნენ უშუალოდ სტადიონზე მყოფი გულშემატკივრებიც და მრავალრიცხოვანი ტელემაყურებლებიც. შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობდა მთელი 90 წუთის მანძილზე, არც მასპინძლებს, არც სტუმრებს არ დაუკლიათ ცდა მიზნის მისაღწევად, ამასთან, მინსკელთა ერთგვარ აკადემიზმს და თამაშის წარმოების სოლიდურ სტილს ქუთაისელებმა დაუპირისპირეს უკიდურესად მაღალი ტემპი, განუწყვეტელი მოძრაობა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. ანგარიში 2:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ ერთობ საყურადღებოა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ გამარჯვებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა დაცვამაც, რომელსაც შესანიშნავად მეთაურობდა ხურცილავა, და მეკარე გაბელიაც, რომელსაც არაერთი უძნელესი ბურთის აღება მოუხდა.

მატჩის სხვაგვარ მსვლელობას არც ელოდა ვინმე. ეს სიძნელეები თავიდანვე იყო გათვალისწინებული გუნდის ხელმძღვანელობის მიერ და ტორპედოელებმა არ დაიშურეს თავიანთი ძალა, უნარი, მონდომება რთული ამოცანის შესასრულებლად. მით უფრო საპატიო და სასახელოა ეს 2 ქულა.

ტრადიციული დაზვერვა არ ყოფილა. უკვე პირველივე წუთებზე შენგელია — ფარულავას სახიფათო კომბინაცია კუთხურით დამთავრდა, შემდეგ შელიამ ძნელი მდგომარეობიდან ააცდინა კარს, მე-7 წუთზე კი ჭოხონელიძემ შორიდან გადააწოდა ბურთი შენგელიას, იგი სწრაფად შეიჭრა მოპირდაპირე გუნდის მცველთა განლაგებაში და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

1:0, როცა წინ 83 წუთია დარჩენილი, არავითარ შემთხვევაში არ იძლევა ძალების დაზოგვის უფლებას და ქუთაისელ ფეხბურთელებს წუთითაც არ მიუციათ საკუთარი თავისთვის ნება საქმე მოთავებულად ჩაეთვალათ. სინანულს იწვევს მხოლოდ ის გარემოება, რომ „ტორპედოს" ისეთმა გამოცდილმა მოთამაშეებმა, როგორიც არიან ხერხაძე და ოქროპირაშვილი, არ გამოავლინეს მთელი თავიანთი შესაძლებლობანი. ისინი ინერტულობდნენ და საბოლოოდ საჭირო შეიქნა მათი შეცვლა.

სტუმრებმა ყველა ღონეს მიმართეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. გაბელიას ძნელი ბურთების აღება მოუხდა გრიგორიევისგან, კურნევისგან, ბოგოვიკისგან, მაგრამ საკმარისი იყო მასპინძლებს სწრაფი კონტრშეტევა განევითარებინათ, რომ შენგელიამ უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარისკენ, დინამოელები ძელმა იხსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისში, დაახლოებით 10 წუთის მანძილზე, დინამოელები საფუძვლიანად ფლობდნენ უპირატესობას. მათ რამდენიმე ერთობ სახიფათო მომენტიც შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ ქუთაისელებმა შეძლეს საიმედო დაცვის ორგანიზება, ხოლო შემდეგ, როცა გუნდს ახალი ძალები შეემატა შემცვლელ მოთამაშეთა სახით, უპირატესობამ კვლავ მათ მხარეს გადაინაცვლა.

მიმდინარეობდა მატჩის 72-ე წუთი, როცა მინსკის „დინამოს" კარში დაინიშნა საჯარიმო. ჩახუნაშვილმა კარის წინ ჩააწოდა ბურთი, იქ ყველას დაასწრო შენგელიამ და თავური დარტყმით მეორედ აიძულა ვერგეენკო შეესრულებინა ერთობ უსიამოვნო პროცედურა. 2:0.

დარჩენილ დროში არ დამცხრალა დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ქუთაისელები არ გაუშვებდნენ ხელიდან დამსახურებულ მონაპოვარს, ასეც მოხდა.

შ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •

სურათზე: თამაშის მომენტი. მ. ხურცილავა მაღალი ნახტომით იგერიებს ბურთს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

[illegible]

ასე დამთავრდა: „ქაირათი" (ალმა-ათა) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:1, „ალგა" (ფრუნზე) — „პამირი" (დუშანბე) 1:2, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:1, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:2, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:1, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „ურალმაში" სვერდლოვსკი) 2:0, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „კუზბასი" (კემეროვო) 0:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ზვეზდა" (პერმი) 3:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:2.

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კრ. სოვეტ."	33	18	8	7	66—32	44
„ქაირათი"	33	18	6	9	48—30	42
„დინამო"	32	17	8	7	44—26	42
„ტორპედო"	33	14	13	6	44—26	41
„ნეფთჩი"	33	15	10	8	51—30	40
„ტავრია"	33	16	7	10	54—37	39
„ნისტრუ"	33	15	9	9	37—36	39
„სპარტ." ორ.	33	14	7	12	35—34	35
„შინიკი"	33	11	12	10	41—36	34
„პამირი"	32	11	11	10	40—40	33
„სპარ." ი.-ფ.	33	13	6	14	45—39	32
„მეტალურგი"	33	10	11	12	38—36	31
„კუზბასი"	33	12	7	14	33—41	31
„რუბინი"	33	9	12	12	31—48	30
„ყუბანი"	33	10	9	14	32—40	29
„ზვეზდა"	33	10	7	16	27—39	27
„სპარტ." ნ.	33	7	12	14	22—36	26
„მეტალისტი"	33	8	10	15	24—41	26
„ურალმაში"	33	10	4	19	35—53	24
„ალგა"	33	4	5	24	26—73	13

პრეზიდენტი კმაყოფილია

საჭადრაკო კომპოზიციაში ფიდე-ს მუდმივმა კომისიამ გუშინწინ მუშაობა დაამთავრა.

საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მიკუთვნების ახალი სისტემის განხილვისას დიდი კამათი გაჩაღდა. ბოლოს მიიღეს საკლასიფიკაციო კომისიის წინადადება, რომელმაც დიდოსტატის ნორმატივად 70 ქულა წამოაყენა. ამ ქულების შეგროვება შეიძლება მხოლოდ „ფიდე-ს ალბომში" გამოქვეყნებული ნაწარმოებებით. თითოეულ გამოქვეყნებულ ამოცანასა თუ ეტიუდში ავტორს 1,25 ქულა დაეწერება.

საკლასიფიკაციო კომისიას წინასწარ ჰქონდა გამოანგარიშებული, თუ ვის ეკუთვნოდა ახალი სისტემით საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. ეს წოდება მიენიჭათ: ვ. ბრონს, ვ. კოროლკოვს (ორივე — სსრ კავშირი), გ. პაროშს (უნგრეთი), ი. ფრიტცს, ვ. პახმანს (ორივე — ჩეხოსლოვაკია) და მ. პეტროვიჩს (იუგოსლავია).

საერთაშორისო ოსტატის წოდების მისაღებად საკმარისია „ფიდე-ს ალბომში" 25 ნაწარმოების დასტამბვა. ამ წესით საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღეს ა. კოპნინმა (ჩელიაბინსკი) და ა. კაზანცევმა (მოსკოვი).

მერე კომისიამ „ფიდე-ს ალბომის" განყოფილებათა დირექტორებისა და მსაჯების კანდიდატებზე იმსჯელა. განიხილეს კომისიის ფინანსური საკითხებიც.

დიდი ინტერესი გამოიწვია ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის სახელდახელო კონკურსმა. ეს შეჯიბრება კონგრესის გახსნისას გამოცხადდა და „სოიუზ" — „აპოლონის" კოსმოსურ ფრენას მიეძღვნა. მას მსაჯობდნენ რ. კოფმანი, რ. ლიაპუნოვი, ე. უმნოვი (სამივე — მოსკოვი), გ. ნადარეიშვილი (თბილისი) და ვ. მელნიჩენკო (კიევი).

МЕЖДУНАРОДНЫЙ КОНГРЕСС ШАХМАТНЫХ КОМПОЗИТОРОВ

XVIII

75

ТБИЛИСИ

ორსვლიანი ამოცანების კონკურსში 24 ავტორის 35 ნაწარმოები მონაწილეობდა. პრიზები ასე განაწილდა: I. ვ. ბერნსი (ინგლისი), II. ვ. რუდენკო (დნეპროპეტროვსკი), III. ვ. ბარტოლიჩევი (იუგოსლავია), IV. ი. ვლადიმიროვი (მოსკოვი), V. ი. კრიხელი (გორი).

სამსვლიანებში 15 ავტორის 12 ამოცანა მონაწილეობდა. პრიზები ხვდათ: I-II. ლ. ლოშინსკისა (მოსკოვი) და ვ. რუდენკოს, ა. გრინს (მოსკოვი), III. ი. კანელიუსსა (ფინეთი) და ვ. ჩიპიჟნის (მოსკოვი), IV. ვ. სავჩენკოს (ტყიბული), V. შ. სუხიტაშვილს (გორი).

მრავალსვლიანებში (12 ავტორის 10 ამოცანა) პრიზები მიიღეს: I. ვ. რუდენკომ, II. ი. ვლადიმიროვმა, III. ი. კრიხელმა, IV. ვ. ლუკიანოვმა, ნ. ნაგნიბიდამ (ორივე — უკრაინა), V. ბ. ფარჟეტმა (საფრანგეთი).

ეტიუდისტთა კონკურსში 13 ავტორის 12 ნაწარმოები მონაწილეობდა. I პრიზი ხვდა დ. გურგენიძეს (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ჩაილური), II-III პრიზები — ლ. კუზნეცოვს (მოსკოვი), ლ. კაცნელსონსა და ლ. მიტროფანოვს (ორივე — ლენინგრადი), IV. ვ. ნესტერესკუს (რუმინეთი), V. ა. მაქსიმოვსკის (კურგანის ოლქი).

ეტიუდისტებისთვის სპეციალური პრიზიც იყო დაწესებული. იგი კ. ბეკერისა (აშშ) და დ. გურგენიძის კოლექტიურ ნაწარმოებს მიენიჭა.

ნადიშამათის ამოცანათა შეჯიბრებაში (15 ავტორის 20 ამოცანა) პრიზები ასე განაწილდა: I. ვ. ჩიპიჟნი და ვ. რუდენკო, II. ი. კრიხელი, III. გ. პაროში, IV. ჯ. მახათაძე (ზესტაფონი), V. ვ. ნესტერესკუ.

უკუშამათის ამოცანათა კონკურსში, რომელშიც 12 ავტორის 10 ნამუშევარი მონაწილეობდა, I პრიზი ი. კრიხელმა მოიპოვა. პრიზები მიენიჭათ: II. ვ. ჩეპიჟნისა და ვ. რუდენკოს, III. ი. ვლადიმიროვსა და ლ. ლოშინსკის.

საღამოს, დასკვნით სხდომაზე, პრეზიდენტმა ი. ჰანელიუსმა მადლობა გადაუხადა კონგრესმენებს მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის.

თ. გიორგაძე.

ორი საფეხურით დაბლა

14 მოძმე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 160-ზე მეტი მესტენდური მონაწილეობდა სსრ კავშირის გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც სვერდლოვსკში გაიმართა.

სპეციალისტებს არაერთხელ უთქვამთ, რომ მრგვალ სტენდზე სროლაში საქართველოს ახლა ძლიერი კოლექტივი ჰყავს. მას სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფავორიტადაც კი მიიჩნევდნენ, მაგრამ სპარტაკიადაში მხოლოდ თ. იმნაიშვილმა იმარჯვა — ოქროს მედალი მოიპოვა და გუნდი III ადგილზე გაიყვანა. ტ. ქლენტს მაშინ აშკარად უმტყუნა ბედმა.

მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მესტენდურეები ახლა გუნდური ჩემპიონატიდან შინ გამარჯვებული დაგვიბრუნდებოდნენ, მაგრამ... მათ ორი საფეხურით უკან დაიწიეს — V ადგილს დასჯერდნენ.

ქლენტმა და იმნაიშვილმა გუნდს უღალატეს: ცეცხლის ხაზზე დაიგვიანეს და 4-4 გასროლა გააცდინეს. მართალია, ქლენტი შემდეგ მდგომარეობის გამოსწორებას ბევრს ეცადა, მაგრამ დაკარგულ 4 ქულას რაღა ეშველებოდა?

ამ ვარჯიშში გუნდური პირველობა მოიგო რსფსრ-ს ნაკრებმა, რომელმაც 387 ქულა მოაგროვა. მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებს 382-382 ქულა აღმოაჩნდათ, მაგრამ ბოლო სერიაში უკეთესი მაჩვენებლების გამო II ადგილი ლენინგრადელებს მიეკუთვნათ.

სამაგიეროდ, ლენინგრადელებმა პირველობა ადგილიდან სროლაში მოიგეს — 400 შესაძლებლიდან 374 ქულა მოაგროვეს. II ადგილზეა ყაზახეთის გუნდი (369), III — უზბეკეთის ნაკრები (368).

ქალთა შორის პირადი პირველობა გათამაშდა.

ადგილიდან სროლა მოიგო 28 წლის კიეველმა ი. კლეკოვამ, რომელმაც 180 სამიზნე დაამსხვრია 200-დან.

მრგვალ სტენდზე შესანიშნავად იასპარეზა ლ. გურვიჩმა (როსტოვი). მიუნჰენში მან 200-დან 191 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა, სვერდლოვსკში კი თავისივე მიღწევა 5 ქულით გააუმჯობესა.

მესამე შეხვედრაც წაგებულია

უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში ოთხმა გუნდმა — მოსკოვის უნივერსიტეტმა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალურმა საწყლოსნო სპორტკლუბმა, მოსკოვისა და კიევის დინამოელებმა უკვე ხორცი შეასხეს პირველ ექვსეულში მოხვედრის შანსს. დარჩენილ ორ ადგილზე პრეტენზიას აცხადებს ერთბაშად 4 კოლექტივი—თბილისისა და ალმა-ათის დინამოელები, წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდი და მინსკის „ბურევესტნიკი“.

მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივთან წაგებით (2:8) თბილისის „დინამომ“ გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა — გათამაშების ცხრილში VI ადგილზე გადაინაცვლა. თბილისელებს სათამაშო დარჩათ ლვოვის „დინამოსთან“, ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ და კასპიის ფლოტილიის გუნდთან. ასე რომ, მათი მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: წკფ (ბაქო) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 5:4, სსფ ცსს (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (მინსკი) 6:3, „დინამო“ (კიევი) — „მეხნატი“ (ტაშკენტი) 7:6, „დინამო“ (ალმა-ათა) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 6:6, „დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 5:5.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსფ ცსს	8	7	1	—	57—35	15
უნივერს.	8	7	—	1	43—24	14
„დინამო“ კ.	8	6	—	2	53—47	12
„დინამო“ მ.	8	5	2	1	49—41	12
წკფ	8	4	—	4	29—22	8
„დინამო“ თბ.	8	3	1	4	43—47	7
„დინამო“ ა.-ა.	8	2	3	3	41—46	7
„მეხნატი“	8	2	2	4	39—48	6
„ბურევესტ.“	8	2	1	5	32—42	5
„სპარტაკი“	8	1	2	5	37—52	3
„ბალტიკა“	8	—	3	5	32—43	3
„დინამო“ ლ.	8	—	3	5	29—37	3

რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ძნელ, მაგრამ კორექტულ თამაშში

თბილისი. „სინათლის“ სტადიონი. 5 ოქტომბერი.

„ივერია“ (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) 7:3 (4:3).

„ივერია“: კოტრიკაძე, ჯოხაძე (დავითაია), ურუშაძე, კემულარია, რეხვიაშვილი, რამიშვილი, ბენდიაშვილი, მენაბდე (თოფურია), კიზირია, ჩოგოვაძე, ნიჟარაძე, ანდღულაძე, ცინცაძე, კოპლაშვილი, აბაშიძე.

„ავტომობილისტი“: ზოტოვი (ბოლოტინი), კოტიკოვი, ლიტიაგინი, არხიპოვი, სოკოლოვი, პოტიაკინი, სავოსტიანოვი, ტოპოლინი (ველანკინი), სენინი (ზაგორეცკი), ერმოვი, ბელიაევი (მელნიჩენკო), იუნისოვი, პონტიუხინი, დრაცკი, შმატოვიჩი.

მსაჯი ვ. იაროვოი (ლენინგრადი).

მეტოქენი სატურნირო ცხრილში მეზობლად იყვნენ: „ავტომობილისტი“ „ივერიას“ ქულით უსწრებდა, მაგრამ ერთი თამაშითაც მეტი ჰქონდა ჩატარებული, ისე რომ, მასპინძლები შეხვედრის მოგების შემთხვევაში მოსკოველებს უკან ჩამოიტოვებდნენ.

„ივერიას“ ბოლო ორ ტურში სსასთან და თბილისის „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში 3 ქულის აღების შემდეგ მადა გაეხსნა და „ავტომობილისტთან“ სათამაშოდ ბიჭები მინდორზე მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვიდნენ, რადაც უნდა დაჯდომოდათ კიდევ 2 ქულა აეღოთ.

მაგრამ არც მოსკოველები ჩამოსულან თბილისში გასართობად. მათს კოლექტივს ჯერ კიდევ ჰქონდა საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შანსი, ამიტომ, ცხადია, იგი უბრძოლველად ქულას არ დათმობდა.

მეტოქეთა ამგვარმა განწყობილებამ განაპირობა თავიდან ბოლომდე საინტერესო, დაძაბული თამაში.

„ივერიის“ გულშემატკივრების მოლოდინის საწინააღმდეგოდ ერთგვარი უპირატესობა მოსკოველთა მხარეს იყო. თბილისელები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ „ავტომობილისტის“ ნახევარზე ბურთის გადასატანად, მაგრამ ფაციფუცში უმეტესად უზუსტოდ თამაშობდნენ. ისინი მხოლოდ პერიოდულად ახერხებდნენ მოსკოველთა ჩათვლის მოედნისკენ გაჭრას. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს მასპინძლები დაჯარიმდნენ. მსაჯმა „ავტომობილისტს“ უფლება მისცა საჯარიმო თბილისელთა ნახევრიდან დაერტყა და სენინს მისი გამოყენება არ გასჭირვებია. 3:0. ეს მოხდა მე-8 წუთზე.

„ივერია“ მარცხმა კიდევ უფრო გააღიზიანა. რეგბისტებს აშკარად დაეტყოთ ნერვულობა, მაგრამ ეს ფაქტი მეტოქის მიმართ უხეშობაში არ გამოხატულა. საერთოდ, მატჩმა საკმაოდ კორექტულად ჩაიარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ არბიტრმა რატომღაც ჯოხაძეს გაფრთხილება მისცა.

მალე თბილისელებმა თითქმის ერთი და იმავე ადგილიდან — მარჯვენა ფლანგიდან ზედიზედ ორი საჯარიმო დაარტყეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს. შუა ტაიმში კი მოსკოველებს კიდევ მეტი დაწინაურების საშუალება მიეცათ, მაგრამ მათაც მიზანს ვერ მიაღწიეს.

თბილისელებმა შესვენებამდე 4 წუთით ადრე მარცხენა ფლანგზე, მეტოქის ჩათვლის მოედნის ხაზამდე რამდენიმე მეტრის დაშორებით, აუტი მოაწოდეს. ბურთს კიზირია დაეუფლა და ძლიერი დარტყმით მარჯვენა ფლანგზე გაგზავნა, სადაც მოულოდნელად წინ დაიძრა ცინცაძე. მოსკოველები ამ კომბინაციას მოუმზადებელი შეხვდნენ და ცინცაძემ ბურთი ძნელი ნახტომით მეტოქის ჩათვლის მოედანში დადო.

თბილისელებმა თამაში შესვენების შემდეგ მათთვის სასურველი კალაპოტით წარმართეს და 45-ე წუთზე ახალ წარმატებასაც მიაღწიეს: აუტიდან მოგებული ბურთი მენაბდემ მიიღო და დრიბლინგის მერე არეკნით დარტყმით მეტოქის კარისკენ ზუსტად გაგზავნა. ანგარიში გახდა 7:3.

დარჩენილ დროში „ავტომობილისტმა“ ოთხი მოთამაშე შეცვალა. ამან გუნდს ახალი ძალა შემატა, მოსკოველები რამდენიმეჯერ სახიფათოდაც გაიჭრნენ, მაგრამ „ივერიის“ დაცვა მოწოდების დონეზე იყო.

ო. გელაშვილი.

სხვა ქალაქებში

ასე დამთავრდა: „ფილი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 4:7, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 6:12, „სლავა“ (მოსკოვი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) 6:7, „სპარტაკი“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 24:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი“	14	12	0	2	271:89	24
სსა	15	10	1	4	213:119	21
„სპარტაკი“	14	9	0	5	253:144	18
„ლოკ.“ მ.	14	8	1	5	124:142	17
„სლავა“	14	8	0	6	162:137	16
„ივერია“	14	7	1	6	123:133	15
„ავტომობ.“	15	6	2	7	140:176	14
„ლოკ.“ თბ.	14	5	1	8	112:144	11
მსი	15	3	0	12	133:324	6
„ბურევესტ.“	15	1	0	14	81:204	2

ახალი ამბები-75

● იალტა, 4 ოქტომბერი. „ავანგარდის“ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ზაპოროჟიელმა ვ. ერშოვმა 89 მეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს საბჭოთა კავშირში.

● ვინიცა, 5 ოქტომბერი. „მეგობრობის თასი“ — „250-ანების“ კლასში სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მოტოკროსში გამარჯვებულთათვის დაწესებული მთავარი პრიზი გდრ-ის სპორტსმენებს ხვდათ. გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ ამ საინტერესო შეჯიბრების დასკვნითი ეტაპის მასპინძლები — საბჭოთა მრბოლელები. III ადგილი ბულგარელმა კროსმენებმა დაიკავეს. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ი. ხუდიაკოვმა (სსრ კავშირი). II ადგილზეა მ. ჰალმი (ჩეხოსლოვაკია), ხოლო III — ი. ადამიანცი (სსრ კავშირი).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი

შაბათს „ლიდს იუნაიტედმა“ შინ მოუგო გათამაშების ლიდერს — ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ — 2:1. ლიდსელთა მხრივ გოლები გაიტანეს კლარკმა და ლორიმერმა. ეს ლონდონელთა პირველი წაგებაა მიმდინარე სეზონში.

ასევე პირველად დამარცხდა მეორე ლიდერი — ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ერევნის „არარატის“ მომავალი მეტოქე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში), რომელმაც შინ წააგო ლივერპულის „ევერტონთან“ — 0:1. შეხვედრას ესწრებოდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელი დონ რივი, რომელსაც, კომენტატორთა თქმით, მხოლოდ ერთი მოთამაშე მოეწონა — ლონდონელთა ნახევარმცველი ტრევორ ბრუკინგი. მატჩის ერთადერთი გოლი საკუთარ კარში გაიტანა ლონდონელთა მცველმა მაკდაუელმა.

ტურის საუკეთესო შეხვედრად აღიარებულია მატჩი: „დერბი ქაუნთი“ — „იფსვიჩ თაუნი“. ჩემპიონმა ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა — 1:0. გოლი იფსვიჩელთა კარში ლიმ გაიტანა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ ფრედ ითამაშა „ლესტერ სიტისთან“ (0.0) და კვლავ ლიდერობა იგდო ხელთ.

ლონდონში ადგილობრივი „არსენალის“ კარში „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელებმა ჰარტფორდმა, როილმა და მარშმა სამი გოლი გაიტანეს — 3:2.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები: „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 2:2, „კოვენტრი სიტი“ — „ბერნლი“ 1:2, „ბირმინგემ სიტი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 2:0, „ლივერპული“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 2:0, „მიდლსბრო“ — „ასტონ ვილა“ (ბირმინგემი) 0:0, „ნორვიჩ სიტი“ — „სტოკ სიტი“ 0:1.

ლიდერები:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მანჩესტერ იუნაიტედი“	11	6	3	2	18:9	15
„ქუინზ პარკ რეინჯერსი“	11	5	5	1	15:7	15
„ვესტ ჰემ იუნაიტედი“	10	6	3	1	16:10	15

შოტლანდია

შაბათს „გლაზგო რეინჯერსმა“ საკუთარ მინდორზე აჯობა „აბერდინს“ — 1:0. ბურთი საკუთარ კარში გაიტანა აბერდინელმა მაკდუგალმა.

გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე გლაზგოს „სელტიკმა“, რომელმაც შინ მოუგო „ჰართ ოვ მიდლოტიენს“ — 3:1. გლაზგოელთა მხრივ გოლები გაიტანეს დინსმა, ჰუდმა და უილსონმა.

„დანდი იუნაიტედმა“ სძლია „ეირ იუნაიტედს“ (3:2), ხოლო „სენტ ჯონსტონმა“ — „მადერუელს“ — 2:1. ფრედ ითამაშეს „ჰიბერნიენმა“ და „დანდიმ“ — 1:1.

„გლაზგო რეინჯერსი“	6	4	2	0	9:2	10
„სელტიკი“	6	4	1	1	13:6	9
„ჰიბერნიენი“	6	3	2	1	8:5	8

გფრ

შაბათს X ტურის ცენტრალური შეხვედრა მოეწყო მიონჰენგლადბახში, სადაც ჩემპიონი — ადგილობრივი „ბორუსია“ შეხვდა ლიდერს — ბრაუნშვაიგის „აინტრახტს“. უაღრესად დაძაბული შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

„კაიზერსლაუტერნმა“ შინ სძლია მიუნჰენის „ბაიერნს“ — 2:1. გადამწყვეტი გოლი მიუნჰენელთა კარში გაიტანა ტოპმიულერმა.

დასავლეთ ბერლინის „ჰერტამ“ სტუმრად აჯობა „ჰანოვერ 96“-ს — 6:2. 4 გოლი გაიტანა სტუმართა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბეერმა. „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ თავის მინდორზე დაამარცხა მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი“ — 4:2. ასეთივე ანგარიშით „შალკე 04“-მა ბრემენის „ვერდერს“ აჯობა.

„კიოლნმა“ შინ სძლია ესენის „როტვაისს“ — 3:0. გოლები გაიტანეს ბრიუკენმა, ზიმენმა და ლერმა.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები: „კიკერსი“ (ოფენბახი) — „კარლსრუე“ 0:0, „დუისბურგი“ — „ბოხუმი“ 1:1, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ბაიერ ურდინგენი“ 2:0.

ლიდერთა ჯგუფი:

„აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი)	10	5	4	1	20:12	14
„ჰამბურგერ შპორტფერაინი“	10	5	3	2	21:10	13
„ბორუსია“	10	4	5	1	18.10	13
„ბაიერნი“	10	5	2	3	23:14	12
„ჰერტა“	10	5	1	4	25:17	11

ესპანეთი

გუშინწინ მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ მინდორზე ჩემპიონი და ლიდერი — ადგილობრივი „რეალი“ „ლას-პალმასს“ შეხვდა. მადრიდელთა დიდი უპირატესობის მიუხედავად, პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ მადრიდელებმა მარტინესმა და კამაჩომ ორჯერ აიღეს სტუმართა არგენტინელი მეკარის კარნევალის კარი, რაზეც სტუმრებმა მხოლოდ ერთი გოლით (პენალტი) უპასუხეს — 2:1.

ბარსელონაში ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა „გრანადას“ აჯობა — 3:0. გოლები გაიტანეს ნეესკენსმა, კრუიფმა და მიგელიმ.

„ვალენსიამ“ შინ დაამარცხა სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადი“ — 3:1. ვალენსიელთა მხრივ გოლები გაიტანეს კინომ (2) და კლარამუნტმა.

I ლიგაში დაბრუნებულმა „სევილიამ“ შინ აჯობა ერთ-ერთ ლიდერს — ბარსელონის „ესპანიოლს“ — 2:1.

სარაგოსაში „ბეტისმა“ მოუგო „რეალ სარაგოსას“ — 2:1. მასპინძელთა კარში ორივე გოლი არგენტინელმა ანსარდამ გაიტანა.

დანარჩენი შედეგები: „სალამანკა“ — „სანტანდერი“ 3:0, „სპორტინგი“ (ხიხონი) — „ერკულესი“ (ალიკანტე) 1:3, „ელჩე“ (ალიკანტე) — „რეალ ოვიედო“ 1:0.

5 ტურის შემდეგ 9 ქულით ლიდერობს მადრიდის „რეალი“. „ბარსელონა“ 8 ქულით II ადგილზეა. „სანტანდერს“, „ვალენსიას“, „სევილიას“, „ესპანიოლს“, „ერკულესს“ და „გრანადას“ 6-6 ქულა აქვთ.

იტალია

გუშინწინ დაიწყო ქვეყნის ჩემპიონატი. კომენტატორთა აზრით, პირველივე ტური ძალიან კარგი ილუსტრაცია იყო იმ კრიზისისა, რომელსაც ამჟამად განიცდის იტალიის ფეხბურთი: 9 შეხვედრაში მხოლოდ 11 გოლი გავიდა.

ჩემპიონმა — ტურინის „იუვენტუსმა“ საკუთარ მინდორზე მოუგო „ვერონას“ — 2:1. ტურინელთა ორივე გოლი კაუზიომ გაიტანა.

„ნაპოლიმ“ შინ სძლია I ლიგის დებიუტანტ „კომოს“ — 1:0. ბურთი გაიტანა სავოლდიმ.

„ასკოლიმ“ ასევე შინ იმავე ანგარიშით დაამარცხა „ფიორენტინა“.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები: „რომა“ — „კალიარი“ 1:1, „ინტერნაციონალე“ — „ჩეზენა“ 0:0, „ლანეროსი“ — „ატალანტა“ 1:1, „ბოლონია“ — „ტორინო“ 1:0, „სამპდორია“ — „ლაციო“ 0:1, „მილანი“ — „პერუჯა“ 0:0.

(საქ. ინფ.).

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ნ. ალექსანდრიას მატჩი გაიმართება ოქტომბერ-ნოემბერში ბიჭვინთასა (I-VIII პარტია) და თბილისში (IX-XVI პარტია). ბიჭვინთაში თამაში 21 ოქტომბერს დაიწყება.

გაზეთების რედაქციებმა, რომელთაც მატჩის გაშუქება აქვთ განზრახული, თავიანთი კორესპონდენტების აკრედიტაცია უნდა მოახდინონ. ამისთვის საჭიროა რედაქციამ მატჩის პრეს-ცენტრს აცნობოს თავისი კორესპონდენტის გვარი, სახელი, მამის სახელი, გაზეთთან მისი დაკავშირების ხელსაყრელი საშუალება (ტელექსი, ტელეფონი, ტელეგრაფი) და მივლინების ადგილი (ბიჭვინთა, თბილისი, თუ ორივეგან).

აკრედიტაცია შეიძლება 10 ოქტომბრამდე. შეტყობინება უნდა გამოიგზავნოს მისამართით: 380008. თბილისი-8, ლენინის ქ. № 37. ჭადრაკის სასახლე.

კ. ხმელიძე

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი, სკკპ წევრი კარლო თეოფილეს ძე ხმელიძე.

კ. ხმელიძე დაიბადა 1918 წელს მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურში. 1840 წელს დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურისა და სპორტის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. კ. ხმელიძე მონაწილეობდა ტამანის, ნოვოროსიისკის, ფეოდოსიის, ქერჩისა და სევასტოპოლის გათავისუფლებისთვის ბრძოლებში, რისთვისაც დაჯილდოებული იყო მედლებით, მიღებული ჰქონდა მთავარსარდლის რამდენიმე მადლობა.

1946 წლიდან კ. ხმელიძე მუშაობდა საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის მდივნად სამხედრო მუშაობის დარგში და სპორტსკოლის დირექტორად. 1948 წელს იგი გადაიყვანეს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ.

1954 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი იყო.

კ. ხმელიძე დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნებით „ფიზიკური კულტურის წარჩინებული“ და „სახალხო განათლების წარჩინებული“.

ყველგან, სადაც კი უმუშავია კ. ხმელიძეს, იგი ახსოვთ, როგორც შრომისმოყვარე, პრინციპული და სამაგალითო ადამიანი. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე რაიონის სპორტსმენთა წარმატებებში.

მახარაძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი;
ბავშვთა სპორტული სკოლა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორკომიტეტი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

აბესალომ კონსტანტინეს ძე ჩოგოვაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02943